

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ საჩუქარი
13 ივნისის სტიქიით დაზარალებულ მოზარდებს

15 ივლისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის, მათი მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელის, ლევან მოსიაშვილის ინიციატივითა და „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მხარდაჭერით 13 ივნისის სტიქიით დაზარალებული მოზარდებისთვის კულტურულ შემეცნებითი აქცია გაიმართა.

მოზარდებმა საჩუქრად მათთვის საინტერესო, შემეცნებითი შინაარსის წიგნები მიიღეს, ადგილზე გაეცნენ, ეროვნულ ბიბლიოთეკის ისტორიას, საქმიანობას, მომსახურების წესებს. „მიხარია როცა ხელოვნება და ქველმოქმედება ერთიანდება საერთო სიკეთისთვის, ვფიქრომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი თანადგომა და ბიზნესის მხარდაჭერა, რაც მსგავსი აქციების რეალიზების შესალებლობას გვაძლევს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი კრიზის პირველი დღიდან იყო ჩართული საქველმოქმედო აქციებში და მადლობ მათ რომ მათივე ინიციატივით, კიდევ ერთხელ მოხდა ეს ჩართულობა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად და პატარებს ერთი დღე გავუხალისეთ“ - განაცხადა ლევან მოსიაშვილმა, რომელიც საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვარია და აქტიურად არის ჩართული 13 ივნისის დაზარალებულთა მხარდამჭერ აქციებში. ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებების გამართვას დაზარალებული მოზარდებისთვის სამომავლოდაც გეგმავს .

„ეროვნული ბიბლიოთეკა თავად გახლავთ არა ერთი საქველმოქმედო აქციის ინიციატორი და აქტიურად ვართ ჩართული სხვადასხვა აქციებში, დღეს მოზარდებს ვუმასპინძლეთ და მათ სიმბოლურად ბიბლიოთეკის საპატიო წევრების სიგელებიც გადავეცით, ვფიქრობთ, რომ,საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ერთობა, განსაკუთრებით ბიზნესის მონაწილეობა მეტი სიკეთის კეთების შესაძლებლობას გვაძლევს“ - აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, მოზარდებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მდებარე ფრანგული ინსტიტუტის ბიბლიოთეკაშიც უმასპინძლეს , საჩუქრად უფასო აბონემენტები გადასცეს და ფრანგული კრუასანებით გაუმასპინძლდნენ.



პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ აქტიურად არის ჩართული 13 ივნისს დაზარალებულთა დასახმარებლად განხორციელებულ სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში. კომპანიამ 10 000 ლარის ფარგლებში დაზარალებულთათვის პირადი და საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები, ასევე მედიკამენტები შეიძინა. „ჯი-აი-ჯი“ კვლავ აქტიურად არის ჩართული დაზარალებულთათვის გამართული სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერ აქციებში.

15.07.15

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

